3/

კ ა ნ ო ნ ი

სასოფლო მილიციის და ადმინისტრაციისა.

I. სოფლად წესიერების დასაცავად ყოველ სოფლის საზოგადოებაში დაარსდეს მუდმივი სასოფლო მილიცია ერთი სასოფლო კომისრის და ხუთი მილიციონერისაგან.

2. სოფლის კომისარს ჯამაგირად დაენიშნოს სამასი /300/ მან. თვიურად, სოლო საკანცელარიო ხარჯებისათვის ოთხას ორმოცდა ათი /450/ მან. თვიურად და დაევალოს მას, გარდა ყოველდღიური ჩვეულებრივი საქმისა, აგრეთვე სამობილიზაციო, სამხედრო-საცხენო ბეგარის, სოფლის საზოგადოებაში სახელმწიფო და დასახადების აკრეფის და სხვა საოთანადო საქმეთა წარმოება.

3. მილიციონერს ჯამაგირად მიეცეს ორას ოცი /220/ მან.თვიურად.

4. სასოფლო მილიციის ზემოაღნიშნული შტატი შემოღებულ იქნეს I9I8 წლ. აგვისტოს პირველიდან.

5. მილიციისათვის საჭირო თანხა ცხრა მილიონი შვიდას ოცდა სამი ათას ექვსას /9.723.600/ მან. გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სასოფლო მილიციისთვის საჭირო თანხა მიმდინარე I9I8 წ. გაღებულ იქნება სახელმწიფო ხაზინიდან,ხოლო ერობის შემოღების შემდეგ, მომავალ I9I9 წლ. იანვრის პირველიდან, ნაწილი ამ ხარჯისა დაევალება ერობას.

6. სოფლის საზოგადოება სოფლის კომისრის თანამდებობაზე ირჩევს ერთს კანდიდატს და წარუდგენს მაზრის კომისარს

საქართველოს ეროვნული არქივი

დასამჯიცებლად. განსაკუთრებულ შემთხვევაში სოფლის კომისარს დანიშნავს გუბერნიის კომისარი.

7. მაზრის კომისარს უფლება აქვს, თუ საჭიროება მოითხოვს, დროებით გადაიყვანოს მილიციონერები ერთი საზოგადოებიდან მეორე საზოგადოებაში.

8. მილიციონერებს ბინა მიეცემა სოფლის საზოგადოების მმართველობის შენობაში.

9. სასოფლო მილიციის სამსახური არავის ათავისუფლებს სამხედრო ბეგარისაგან.

1918 წ. აგვისტოს 2.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის

ა მ ხ ა ნ ა გ ი

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის

მ ო ა დ გ ი ლ ე

საქართველოს ეროვნული არქივი